F 295 ა 632

ორშაბათი, ივლისის 8 1918 წ.

# სოციალისტ-ფედერალისტი

დასაბეჭდი მასალები მიიღება „სოციალისტ-ფედერალისტის“ რედაქციაში, ყოველ-დღე, დილის 10-დან 12-მდე და საღ. 6—8-მდე. ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები. ფოსტის მისამართი წერილებისა და ფულისათვის: ტფილისი ლორის-მელიქოვის ქ. № 1. „სოციალისტ-ფედერალისტი“-ს რედაქცია.
ფასი ტფილისში და ტფილის გარედ შვიდი შაური რკინის გზის სადგურებზე 9 შაური.

ფასი 35 კ.

№ 1 ტფილისის სოციალ-ფედერალისტ მუშათა კავშირის გაზეთი. № 1

ივლისის 8-დან გამოდის ტფილისის სოციალისტ-ფედერალისტ მუშათა კავშირის საორშაბათო გაზეთი

## „სოციალისტ-ფედერალისტი“

რომლის მიზანიც არის: მდაბიო და ნათ[illegible] აუხსნას საქართველოს მშრომელ ხალხს დღევანდელი მდგომარეობა, შეიტანოს მათში კლასიური შეგნება და ხელი შეუწყოს მათ დარაზმვას სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის დროშის ქვეშ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის განსამტკიცებლად.

გაზეთი ღირს ცალი შვიდი შაური.

პროვინციელ ამხანაგებს ვთხოვთ გამოგზავნონ წერილები სოფლის და პროვინციების ცხოვრების შესახებ, შემდეგი მისამართით ტფილისი ლორის-მელიქოვის ქ. № 1. (ძველი სემინარია) „სოციალისტ-ფედერალისტის რედაქციას“.

---

**ტფილისი, 8 ივლისი 1918 წ.**

**ჩვენი მიზანი**

დღეს საქართველოს განახლების და განთავისუფლების პირველ საფეხურზე ვდგევართ. ხმალი გვიჭირავს აელვარებული. და ასე ვიკვლევთ გზას, ასე ვიგერიებთ მოწოლილ მტერს. გაუძლებთ?—იბადება ეს კითხვა. მაგრამ იგი ჩვენ არ გვაშინებს და თამამად გიპასუხებთ—გაუძლებთ, უსათუოდ გაუძლებთ. ქართველ ერს, ერს ისტორიულ ბრძოლაში გამოვლილს, ბევრი უნახავს ასეთი დღე, ბევრი უნახავს ამაზე უარესიც, მაგრამ სულით არ დაცემულა, და ხალისიანად გაუხედნია მომავალისკენ. არც ჩვენ ვიტეხთ გულს, ვერც ჩვენ წამოგვაჩოქებენ ტანჯვის გზაზე, და ვივლით, სანამ ან გავიმარჯვებთ ან დავიხოცებით. ჩვენ გამარჯვება გვრწამს. ჩვენ ვერ გვაშინებს გარეშე მტერი, თუმც მის მოსაგერებლად არ ამხედრებულა მთლად საქართველო. ჩვენ არ გვაშინებს გარეშე მტერი, თუმც ბათუმის სირცხვილიც ვიწვნიეთ. ჩვენ ჩოლოქის გამარჯვებამ მოგვცა იმედი, და ჩვენც ამ იმედით გადავცქერით საქართველოს.

ჩვენ ვერც შინაური მტერი შეგვაშინებს. ჩვენ ვიცით, რომელ ლოჯთანაც აქვს მას შხამის პარკი მოთავსებული, და სწორედ იმ ლოჯს მოვამტვრევთ ჩვენ მტერსა და დუშმანს. ჩვენ ვერ გვაშინებს ის კვამლი, რომელიც საქართველოს რამდენიმე კუთხეში ააჩრჩოლეს ჩვენი თავისუფლების გულ-ღვარძლიან მტრებმა. ჩვენ ვერ გვაშინებს ჩვენივე ამხანაგების, ზოგიერთ გლეხების მუხანათ ბადეში გაბმა.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ეს ცდა ჩვენი მტრების უკანასკნელი ცდაა, რომ ეს მწვავე კბენა მომაკვდაობის ნიშანია, და ქართველი ერიც, საქართველოს მშრომელი ხალხი მალე მოიშუშებს შხამიან ნაკბენს. ჩვენ გვჯერა, რომ მოტყუებული ჩვენი გლეხობა მალე გამოერკვევა ამ მდგომარეობიდან, და იმ ცულით, რომელიც საქართველოს თავისუფლების წინააღმდეგ მოაღერებინეს ჩვენმა მტრებმა, იმავ ცულით გაუჩეხავს ბოროტ განზრახვებით და სიავით ავსილ თავს.

და ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის. ჩვენ, მუშები, რომელნიც არჩილ ჯორჯაძემ აღგვზარდა და დაგვავაჟკაცა, რომლებსაც ორი დროშა მოგვცა ხელში და გვასწავლა მათთვის ბრძოლა და სამსახური, ჩვენ ეს მუშები შევეცდებით რომ ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში მივიდეთ ჩვენ სოფლის მუშებთან, აუხსნათ თუ ვინ არის მათი მტერი მოყვარე, და შევაყვაროთ საქართველოს თავისუფლება და მისთვის თავ დადებული ბრძოლა. და ამ მუშაობას, ჩვენ ქართულ ეროვნულ დროშის ქვეშ ვაწარმოებთ. მაგრამ ამასთანავე ჩვენ არც ერთ წუთს არ ჩამოუშვებთ მეორე დროშას, დროშას სოციალისტურს. ჩვენ მთელი ჩვენი ძალ-ღონით შევეცდებით შევიტანოთ ჩვენ ხალხში სოციალისტური შეგნების შუქი. ურომლისობამაც ასე დაჰქსასა და არივ-დარია საქართველოს მშრომელი ნაწილი. ჩვენ მთელი ჩვენი ძალ-ღონით მხარს დაუჭერთ განახლებულ საქართველოს სოციალისტურ მთავრობას, და თავ-დაუზოგად მოვეხმარებით ყოველ-წუთს, როდესაც კი საქართველოს დემოკრატიულ-რესპუბლიკის არსებობას დაემუქრებიან. ჩვენ მთელი ჩვენი ძალ-ღონით მოვეხმარებით საქართველოს განმტკიცების საქმეში, და ვეცდებით მუდამ ვიყვეთ ჩვენი ერის და მშრომელი ხალხის ფხიზელ დარაჯად.

მაგრამ ამავე დროს ჩვენ სასტიკ კრიტიკას გაუწევთ ჩვენი მთავრობის ყოველ მოქმედებას, და როგორც მოყვარეს, პირში დაუწყებთ ძრახვას, როცა კი ეს იქნება საჭირო. საქართველოს თავისუფლებისათვის ერთობაც საჭიროა და სისასტიკეც.

ხოლო როდნსაც საქართველოს მშრომელი ხალხი გადიტანს იმ მტეხიარეობას, როილითაც ჩვენი ქვეყანა არის დღეს შეპყრბილი, მხოლოდ მაშინ გადავალთ სავსებით ჩვენ კლასიურ პოზიციებზე. მანამდე კა საქართველოს სამსახური გვდევს ვალად, და ჩვენც იმ მოვალეობის შესრულებას შევეწირებით. ვიცით, რომ თუ მუშათა კლასს სურს რომელიმე თავისი მოთხოვნილების განხორციელება, ამისთვის იგი უნდა შეებრძოლოს ჯერ პოლიტიკურ და ეკონომიურ მტრებს.

ვენ ჩვენც შევებრძოლებით ჯერ პოლიტიკურ მტრ. რადგან პირველ რიგში პოლიტიკური მტერი ჩაგვედგომია, და ამ ბრძოლაში ჩვენ ვიქნებით სასტიკნი და შეურიგებელნი.

---

გარდაიცვალა ოსმალეთის ხონთქარი.—გუშინ სიონის ტაძარში დაკრძალეს საქართველოს კათალიკოს—პატრიარქი კირიონ II.—გამოიცა კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ.—საერობო არჩევნები უკვე დაიწყო.—მთავრობამ წინადადება მისცა სომეხთა ეროვნულ საბჭოს 3 დღის განმავლობაში გაიყვანეთ თქვენი ჯარი საქართველოს საზღვრებიდანო.—სახხერესთან ბრძოლა გრძელდება.—ბათომიდან დაბრუნდა სომეხთა დელეგაცია.

---

## რა ხდება ჩვენს გარშემო?

ჩვენი სამშობლო საქართველო დღეს მტრობის, აურზაურის და სისხლის ალშია გახვეული. შიგნით თუ გარეთ პატარა საქართველოს დიდი მტრები აღმოუჩნდნენ. ყველანი სცდილობენ ირგვლივ ცეცხლი დაგვინთონ და შიგ გამოაღრჩონ ჩვენი ახალი ცხოვრება და მომავალი. მაგრამ რა მოხდა განა ისეთი? რამ ააყაყანა ჩვენს ირგვლივ რუსი, სომეხი, და უცხო ხალხთა მეტი წილი? იქნებ ქართველმა ხალხმა რამე დაუშავა მათ? იქნებ რამე გვემართა და არ ვიეცით? ან იქნებ უმტრეთ სადმე? არც ერთი, არც მეორე და არც მესამე. ქართველ ხალხს მათთვის არაფერი არ დაუშავებია, ვერც დაუშავებდა. ქართველი ხალხი, მეტადრე ქართველი მშრომელი ხალხი მუდამ გულღიობით და კეთილობით იყო ცნობილი. სწორედ ამ გულკეთილობით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი სახლის კარი მუდამ ღია იყო სტუმრებისთვის, უცხოეთიდან ჩამოსახლებულთათვის, რომელნიც საქართველოში სულ მალე მოშინაურდებოდნენ ხოლმე და ისე გრძნობდნენ თავს ჩვენს ქვეყანაში, როგორც თავიანთ სამშობლოში. ან რას დაუშავებდა მათ ქართველი ხალხი, როდესაც თვით სხვებს ეჭორებოდა, და ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ უპირველესად ქართველი ხალხი იმაღლებდა ხმას? არც თუ გვემართა რამე. ამ [illegible] ქართველი ხალხი თვით იჩაგრებოდა, თვით იდევნებოდა, თვით იბეგრებოდა ძველი შავ-რაზმელების და მეფის ჩაფრების მიერ, და ასე დევნილს, ასე შევიწროებულს ვინ რას მიაბარებდა, ვინ რას ასესხებდა? არა მკითხველო, მიზეზი ჩვენი მტრების ასეთი აწყვეტისა, ასეთი ღვარძლიან თრევისა და შხამიან ენის ავსავსისა სულ სხვაგან უნდა ვეძიოთ. სახელდობრ: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში. აი აქ არის მოთავსებული მტრობის მიზეზი. ჩვენი პირ-ახსნილი და პირ-აკრული მტრები საქართველოს განთავისუფლებამ გაღალანა, ვაჭარი, მოხელე, მიკიტანი და ოფიცერი, ყველა ესენი, უცხო ქვეყნებიდან ჩვენში მოსულნი და შემოხიზნულნი, ყველა ესენი ჩუმათ იყვნენ, ვიდრე ქართველი მშრომელი ხალხი საწყალ ფურად იყო ქცეული, ვიდრე ჩვენ დოვლათს ასხდნენ ზედ და სუქდებოდნენ, ვიდრე ჩვენ გლეხს მიწას აცლიდნენ და ლუკმა პურსაც კი სტაცებდნენ. რუსის ძველ აფიცრებს და პრისტავებს, სომხის ვაჭრებს და ჩარჩებს, ეღდათ ეცათ ქართველი მშრომელი ხალხის გამოფხიზლება, და ყოველ გვარ ღონეს ხმარობენ, რომ სწორ გზაზე დამგარნი მიგვიყვანონ დაღუპვის გზამდე და გადაგვჩეხონ. ჩვენ დასაღუპად მარტო გარეშე, სხვა ტომის მუქთა-ხორა ხალხი კი არ ამოძრავდა, არა, მათ მიემატათ ჩვენი ქართველი იუდებიც, რომელნიც დიდმა რევოლიუციამ შორს გარიყა და მოუსპო მათ ჩვენი ღარიბი ხალხის კისრიდან სისხლის წოვის საღსარი. ციხე თუ შიგნიდან არ გატყდა, გარედან მტერს მეტად გაუძნელდება მისი გატეხვა. და აკი შიგნითვე დაუწყეს საქართველოს ღრღნა. გარეშე მტერი, ოსმალეთი და რუსის შავრაზმელები, „ბოლშევიკის“ სახელით რომ თავს გვესხმიან, თითქოს ეს გარეშე მტრები არ კმაროდნენ და შიგნითაც აამოძრავნენ. ქართველი შავრაზმელები, რუსი პრისტავ-ოფიცრები და სომხის ჩარჩ-ვაჭრები ერთად შეესივნენ საქართველოს სოფლებს და ველიკით ენაჭრულებმა გადიბირეს ქართველი გლეხების ერთი ნაწილი. გადიბირეს და აამხედრეს. ჩირჩილის პეციით ჩასხდომიან ჩვენს სოფლებს, და ჩვენს ძმებს, ჩვენს ამხანაგებს და მოკეთეებს ერთი მეორეზე ამხედრებენ. ძმას ძმის სისხლს აღვრევინებენ, მამას—შვილისას. და რომ ჰკითხო ის შავრაზმელებს—რათაო? გიპასუხებენ: ჩვენ საქართველოს მთავრობას ვებრძვით, რომ გლეხობას და ღარიბ ხალხს მივცეთ ყველაფერიო. ჰპირდებიან ყველაფერს: სიმდიდრეს, მიწას, პურს, ტანისამოსს. და ჩვენი საწყალი გლეხიც, დაბეჩავებული და განადგურებული ძველ დროს, გამოცდილებას და ცოდნას მოკლებული, ებმევა ძათ მახეში. სომხის ოფიცერს ხაჩატურიანცს, გამორეკილ რუს ოფიცრებს, ძველად მთავრობის მმასახლისებად და ჩაფრებად ნამყოფ ოსებს აკი აჰყვა ჩვენი გლეხობის ერთი ნაწილი და სახალხო გვარდიის სისხლის დალევაზე ფიქრობენ. და იქამდე არის მოტყუებული ჩვენი გლეხი, რომ არ [illegible] იცის თუ ვისგან შესდგება სახალხო გვარდია და მტრები კი ჩვენ გლეხებს ეუბნებიან, სახალხო გვარდია თავადები არიანო. მაგრამ განა როდემდე მოატყუებთ გლეხებს თქვე სადოდავებო, თქვე მართლა მშრომელი ხალხის ორგულებო და ძველი წყობილების მახინჯო პირისუფლებო? თქვენც ხომ კარგად იცით, რომ შეიძლება კაცი ერთხელ მოატყუო, შეიძლება ხალხი ორჯელ მოატყუო, მაგრამ სულ მუდამ ხალხის მოტყუება არ შეიძლება, და იცოდეთ, რომ იმ სამარეში, რომელსაც თქვენ საქართველოს უმზადებთ, იმ სამარეში თქვენ ჩაწვებით და დაიღუპებით...

მოსყიდულებო და ქრთამის მონებო, ნუ სარგებლობთ ჩვენი გლეხების უცოდინარობით, ნუ ამღვრევთ წყალს, ნუ აღვრევინებთ ძმის სისხლს. იცოდეთ, რომ იმ საბრჩობელაზე, სადაც თქვენ ფიქრობთ საქართველოს ჩამოღრჩობას, იქ თქვენ თვით თვით ჩამოკონწიალდებით. გახსოვდეთ, რომ თუ დღეს მოტყუებით შეუცოცდით ჩვენს უცოდინარს გლეხს, ხვალ ის მიგიხვდება სიავეს და ცულის ყუით გაგიჭეჭყავთ ბოროტ თავს.

შორს თქვენი ხელები. ჩვენ გლეხობას, შრომით წელდას და ჯაფით დაბეჩავებულს, მოაცილეთ ეგ თქვენი შავი ხელები. თქვენი ხელებიდან ძმათა სისხლის სუნი მოგვდის, თქვენ ჯიბეში კი ბილწი ლითონის ჩხრიალის, რომლითაც თქვენა ხართ უსინიდისოდ მოსყიდულნი. მიგვშორდით, თორემ თუ ჩვენში შურისძიების გრძნობა აღვიძეთ, სისხლს ერთი ათად ავიღებთ. ჩვენს ბეჩავ დაბეჩავებულ გლეხობას ვერავის არ დავაბეჩავებინებთ, რევოლიუციის მტრებო! [illegible] გვგონიათ, რომ ჩვენი თავისუფლების სანგრევებზე თქვენ იპარამენთ და გაიხარებთ. ეგ ტყუილი იგარიშია, თქვენ [illegible] ხართ გამხელებულნი, და თუ ესლა უფრო მწარედ იქმნებით, იცით რა მოგეპყრობათ.

[illegible] უფრო მეტად, გამოდით გარეთ, რომ დაგინახოთ ვინ ხართ, რომ ვიცოდეთ ვის წინააღმდეგ მივმართოთ ჩვენი სასიკვდილო იარაღი.

და შენ კი, ჩემო ძმობილო, სოფლის მუშავ! ახა ჩაუკვირდი, რა უსინიდისოდ გატყუებს მეგობრის სახით შემოპარებული, როგორ გაქეზებს ქართული მთავრობის საწინააღმდეგოთ, რომელნიც ჩვენი გულისთვის ციხე-კატორღაში დალპნენ, სახალხო გვარდიელების წინააღმდეგ. ის სახალხო გვარდიელები, რომელნიც თქვენივე ძმები არიან, ქალაქის მუშები, სოფლიდან ჩამოსულნი აქ ზოგი დეპოში, ზოგი სტამბაში, ზოგი რკინის გზაზე და სხვ... ვინც ეხლა თქვენთან მოვიდნენ და გაიძახიან ბოლშევიკები ვართო, ეგენი ნამდვილად საქართველოს და მშრომელი ხალხის მტრები არიან. მაგათ უნდათ ჩვენ, ძმები ერთმანეთს წაგვკიდონ, ამ აურზაურში დაიღუპება თქვენი წვითა და დაგვით მოყვანილი ჭირნახული, განიავდება თქვენი ოჯახები, დაიღვრება უმანკო სისხლი და ამ არევ-დარევით თვით ისარგებლებენ და გაბატონდებიან. ეს თქვენ იცოდეთ და იყავით ფრთხილად, თორემ ბოლოს, სინანული ვერას გიშველით.

ქართველო გლეხებო! პირველი ტყვია მტერს უნდა მოხვდეს და შენი მტრები ესენი არიან, ბოლშევიკების სახელს რომ ირქმევენ. ჩვენი სოფლის ნასალდათარებიც ამ შავრაზმელებმა გადიბირეს და შეაცდინეს. აი აკი რუსეთი დაამხეს კიდეც ბოლშევიკებმა. უკრაინაში ეხლა ხელმწიფე დაუსვეს და დღე ერთია და გლეხების დღე ხვალ კი ათი. რუსეთშიც პირწმინდად აირდაირია ყველაფერი. დარჩა პატარა საქართველო, რომელიც ჯერ ისევ თავისუფალია, და სწორედ ეხლა ამ საქართველოს მოადგნენ დასაღუპავად.

ამხანაგებო, ზურგი აქციეთ მაგათ. საქართველოს მთელ მშრომელ ხალხთან ერთად ეცადეთ საქართველოს

მტრებს და უთხარით, რომ საქართველოს არავის შევაგინებინებთ, რომ ძმის სისხლისღვრას თქვენ არა ხართ ჩვეულნი, მტრისას კი თანახმანი ვართ. მოვიდნენ და მზად დაგვხვდებით. ხოლო მოვიდნენ პირდაპირ და ვაჟკაცურად. მაგრამ მათ, მაგ ქალაჩუნა მტრებს, სად აქვთ ვაჟკაცობა? დაირაზმენით საქართველოს დასაცავად, თორემ საქართველოს ნანგრევებ ქვეშ ყველაზე მეტად მშრომელი ხალხი გაისრისება.

შევიყვაროთ ძმებო, საქართველო, და მის მტრებს მჭრელი ხანჯლით გავუჩეხოთ თავი და დავუღუნოთ ენა.

ვ. ხიძინაშვილი

# ჩვენი გაზეთი

მეტად რთულსა და სამძიმო პირობებში დაიბადა აზრი ჩვენი, მუშური გაზეთის გამოცემისა. ქვეყანა შინაურმა ანარქიამ მოიცვა და გარეშე მტერიც ყოველი მხრიდან ემუქრება ჩვენს ნორჩს დემოკრატიულ რესპუბლიკას... „ადამიჭამია ადამიანი“ მცირე აზიიდან, შარლატან-„კომუნისტები“ ჩრდილოეთიდან, თათრის ბეგები აღმოსავლეთიდან, გაკოტრებული თავად-აზნაურობა, ოსისა და სომხის შოვინისტები, ჩვენში ბატონობის ჩვეული რუსის ჩინოსნები და სხვები მრავალნი, საკვირველის ერთსულოვნობითა და სიმტკიცით, რუსული „ბოლშევიზმის“ დროშის ქვეშ გაერთიანებულნი იერიშით მოდიან საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, და ლამობენ სასიკვდილო ლახვარი ჩასცენ ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივ გამოხატულებას. ხან იქ, ხან აქ, ხან ლეჩხუმის მაზრაში, ხან დუშეთში, თიანეთში, საჩხერეში და სხვაგან აჟარდება ხოლმე ალი ჩვენი ქვეყნის მტერთამიერ დანთებული ცეცხლისა, და ქართველი დემოკრატიაც იძულებულია ყოველი ღონე იღონოს რევოლიუციის ონაპოვართა და ერის თავისუფლების გადასარჩენად.

სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ არასოდეს არ ყოფილა ქართველი ხალხის ყველა სასიცოცხლო ძალები ისე მჭიდროდ გაერთიანებული, როგორც დღეს. ქართველი ხალხი როგორც იქნა მიხვდა, რომ გაერთიანებულ, მოზღვავებულ მტერს გაერთიანებული დამხვდური, გაერთიანებული პასუხის გამცემი უნდა და სწორედ აქეთკენაა დღეს მისი მთელი გულისყური მიმართული. დღემდე სხვა და სხვა სოციალისტურ პარტიებად დანაწილებული ქართველი დემოკრატია, დღეს თითქოს ერთ პარტიად იქცა, დროებით დაივიწყა პროგრამული, პრინციპიალური, ფაქტიკური და სხვაგვარი განსხვავება და საერთო ძალღონით იბრძვის საერთო მტრის წინააღმდეგ. სურათი მეტად გამამხნევებელი და იმედიანია, რომ ზოგიერთი უზნეო, გახრწნილი პიროვნებანი ვითომდა „იდეურ“ ბოლშევიკების და „მემარცხენე“ სოციალისტ-რევოლიუციონერებიდან არ ამღვრევდენ წყალს და არ ცდილობდენ ქართველ დემოკრატიის ციხის შიგნიდან გატეხას... ამით უნდა მივუმატოთ თითო ოროლა გზას აბნეული „ამხანაგები“, რომელთაც ვერ შეუგნიათ დროის სირთულე, ვერა ხედავენ კარზე მომდგარ საფრთხეს და თუთიყუშივით გაჰკივიან რაღაც „გათქვეფაზე“, „მახანწილობაზე“, სხვის კუდში დევნაზე და სხვა ასეთებზე, თითქოს ჩვენი მიზანი, ჩვენი წმიდათა წმიდა არ ყოფილიყო საქართველოს სახელმწიფოებრივი უფლებანი, თითქოს ყოველი ჩვენგანი ჯერ კიდევ გუშინ არ ყოფილიყოს მზად უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ებრძოლა საქართველოს თავისუფლების მოსაპოვებლად!

და აი, როცა ქართველი ხალხი უკვე შეიმოსა სახელმწიფოებრივი უფლებებით, როცა საქართველო დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა არის უკვე, იმის მაგიერ, რომ ხელი შევუწყოთ მის დაცვასა და განმტკიცებას, ვეცადოთ ნამდვილი ხალხის შვილთა გაერთიანებას, ეს გზააბნეულები გვირჩევენ შუღლისა და უთანხმოების გაღრმავებას და... შურისძიებასაც კი...

რა თქმა უნდა, არც ერთი ნამდვილი მამულიშვილი, არც ერთი ნამდვილი დემოკრატი, არც ერთი სოციალისტი არ გაჰყვება ასეთებს და ის ირჩევს უმალ დაიღუპოს უსწორო ბრძოლაში, ვინემ თავისი ხელით მახვილი ჩასცეს იმას, რისთვისაც თავის სიცოცხლეს არა ზოგავდა—საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას.

ჩვენი გაზეთი ყოველის ძალღონით ეცდება ხელი შეუწყოს ქართველი დემოკრატიის გაერთიანებას; ის საიმედო დარაჯად დაუდგება ქართველი ხალხის სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას და არავის მისცემს ნებას შეცდომაში შეიყვანოს მშრომელი ხალხი, თვისი ბნელი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

ჩვენი გაზეთი მუშების გაზეთია. ამიტომ მისი სიტყვაც მუდამ გულწრფელი, პირდაპირი და დაუნდობელი იქნება. ჩვენ არ გვიყვარს მიკიბულ-მოკიბული, დიპლომატიური ლაპარაკი.

სამშობლო განსაცდელშია, ქართველო ხალხო, იცანი შენი მტერი და მოყვარე! შრომის შვილო, დაირაზმე თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოს დასაცავად!

ერ. ტორ—ძე.

# სამშობლო და ჩვენ

ბრწყინვალე გვირგვინი ერის განვითარებისა, მისი წინსვლის, მისი შემოქმედების, მისი დიდებითი მუშაობის, მისი სიცოცხლის—მშრომელი ხალხია.

ხალხი დევნილი, ხალხი წამებული, ხალხი მაღაროების, ხალხი ქარხნების, ხალხი ქუჩების, ისინი ვისაც ხელებზე კორძები აზის, ისინი ვისი თვალებიც გესლიან ღიმილს ელვარებით აღიზარდენ, ისინი ვისი ზურგებიც კუნტინების თრევით გაჭედენ, აი ისინი, ვისაც ჩვენ ვუწოდებთ და ვეძახით ხალხს! და სადაც არ არიან იგინი არა ვართ ჩვენც.. სოფლად და ქალაქად, ველებზე თუ ქარხნებში, ტყეებსა თუ მაღაროებში, ყველგან სადაც კი შრომის სამეფოს ამაყი სიცოცხლე შეუდრკელად სჩქეფს, ყველგან ვართ ჩვენ როგორც შემოქმედი, როგორც ხელოვანნი და როგორც დაუშრეტი ძალა სიცოცხლისა. და არსებობის ჩვენ თამამად, გაბედულად, სრულის სიმშვიდით და ყველას გასაგონად ვაცხადებთ: არ არის ჩვენს იქით სხვა ძალა, რომელიც ყველა ერის, ყოველგვარ შემოქმედებაში იმაზე მეტადეს როლს თამაშობდეს, როგორც შრომის ქარტეხილში დიდი ხნით ჩართული მუშათა კლასი..

ჩვენ ვიცით ცხოვრებაში ერთგვარი ბოროტება, ვიცნობთ მის საზიზღარ სახეს, ვეზიარეთ მრავალჯერ მის გაიძვერა ცბიერებას—ეს არის მუშათა კლასის სიხლზე და ძვლებზე აგება ჩვენი ისტორიულ მტრების—ბურჟუაზიის სასახლეების; ჩვენ ფულით რომ მუშათა კლასს ზურგიდან მახვილს სწორედ ის ელემენტები დასცემენ, რომელიც მას ძმობას უფიცებოდენ, მაგრამ განა ეს გვაძლევს საბაბს ჩვენ, ქუჩის პირში შვილებს, ქუჩის ქვაფენილებზე დაყრილ გერებს, ჩვენ ვისი სიცოცხლეც მუდმივი ბრძოლაა ლუკმა პურისთვის, დავყაროთ იარაღი და მონურად ქედი მოვიხაროთ?— არა. ბრძოლა ჩვენ დღეის იქით დაგვჭირდება, და ჩვენც ვიბრძოლებთ ჩვენი და მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხის გასამარჯვებლად. ჩვენი დროშა მუდამ მზეზე იფრიალებს. ჩრდილ ქვეშ იგი არა დროს არ გაჩერდება.

დღეს კი, ჩვენს სამშობლოში, რომლის პოლიტიკურ განთავისუფლებას და ეკონომიურ აღორძინებას წინ მოუძღოდა ჩვენი ახალგაზრდა სარევოლიუციო პარტია, და რომლის სიცოცხლეს აკვნიდანვე უპირებდა ჩახრჩობას მრავალჯერ საბედისწეროდ შექმნილი პირობები, დღეს ეს ჩვენი პარტია ამაყად სდგას, და საქართველოს ერთგულ მშრომელ ხალხს კვლავ უხმობს ჩვენი თავისუფლების მტრებთან შესაბრძოლებლად.

ჩვენს წინ ბევრჯელ გვქონია შემთხვევა, როდესაც ჩვენ როგორც სოციალისტურმა და მით უმეტეს ერთგულმა პარტიამ, მიუხედავად საშინელის ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლისა, ვსთქვით ჩვენი რევოლიუციონური სიტყვა! ჩვენს სახელოვან ამხანაგებს ერთხელაც არ დაუხრიათ ის ერთგული სოციალისტური დროშა რომელიც ეჭირათ [illegible] ხსენებულს [illegible]! ჩვენ დღესაც შეუდრეკლად ვდგევართ ჩვენს სადარაჯოზე. საქართველოს და ყველა ერის მუშათა კლასის სადიდებლად, სამაგალითოდ და სადღესასწაულოდ! ჩვენ ყოველთვის ვიდექით ჩვენს ერთან, ჩვენ ერთი წუთითაც არ გავხცილებივართ ეროვნულ [illegible], ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით ქართველები—საქართველოს [illegible] განსხვავება გვეფარაქედა [illegible] ნებისგან—არავისგან [illegible] თვალ ამხვევ ლოზუნგებით. ჩვენ კარგად ვიცოდით და ვიცით, რომ გვაქვს დატაკა, [illegible] მაგრამ დიდებული წარსულიანი სამშობლო, და თუ ვინმეს სამეგობროდ, საკავშიროდ ხელს გაუწვდენდით, აზრად გვქონდა—გავესწორებოდეთ როგორც სწორი-სწორს, როგორც მეგობარი მეგობარს. ეს ძახილი სიყვარულისა დღესაც ზეზე აწერია ჩვენს დროშებზე და როდესაც ჩვენ ძლიერ მაღლა ვწევდით ჩვენი მუშების მაგარი მკლავები, საერთაშორისო პროლეტარიატმა, მუშათა კლასმა და გლეხობამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს დემოკრატია, თავის მიწაწყლიდან თავის [illegible], თავის მამა-პაპა [illegible] ახლოს უყვარს, ეძახის და უხმობს ყველა ერის მშრომელ ხალხს: რომ ჩვენ თქვენთანა ვართ, რომ ჩვენი კორძიანი ხელები, ჩვენი ქარხნების მაღალ საკვამურებში გამწვარი გულები ამხანაგებო, თქვენთან არიან! რომ ჩვენ ვამაგრებთ ერთ პატარა ფრონტს, სადაც ყველა ჯურის მტრები მახვილით იწრაფვიან დაფლითონ ჩვენი სხეული. დააფურთხონ ჩვენს დროშებს და შეგვიგინონ სოციალიზმის წმიდა ალამი!

მაგრამ ჩვენ არავის არ მივსცემთ ნებას, რომ ჩვენი თავისუფლების მოტრფიალე დემოკრატიული საქართველო წამოაჩოქოს ნადა გახსნილ იმპერიალისტთა ფეხთა წინაშე. ჩვენ ყველას შევებრძოლებით, შინაური იქნება ის მტერი თუ გარეული, ვერ მოესწრებიან ჩვენი მტრები იმ დროს, რომ ყავახანებში, სამიკიტნოებში და „დუქნებში“ დალიონ წამებულ სამშობლოს შესანდობარი. ვიდრე ქართველ მუშების დაზგებზე ჩაქუჩები თოფების ტყვიებს სჭედენ—მშრომელი ხალხი უნდა თავის სოციალისტურ ფორმებზე დარჩეს.. ჩვენ გვესმის ჩვენი გატყავებულ-გაღატაკებულ გლეხობის ვედრება, კვნესა, ჩივილი, გლეხობას უმიწაწყლოს. გლეხობას მშიერ-მწყურვალს, მშრომელ გლეხობას მიწა უნდა. მიწა უნდა მიეცეს!..

სოციალ.-ფედერალისტთა პარტია, გლეხთა პარტიაა. ჩვენს დროშაზე მიწის განსაზოგადოებრიობა, „მიწა მიწის მუშას“ სწერია, და ჩვენი პარტია ამას მოითხოვდა, ამისთვის იბრძოდა. გლეხობა მუშათა კლასის მარჯვენა ხელია, ჩვენ იმათთვის და იგინი ჩვენთვის! მუშათა კლასის სხვა სიტყვა და ალერსი გლეხობისთვის არ აქვს! მოწვეულ უნდა იქმნას სრულიად საქართველოს გლეხთა ყრილობა და ამ ყრილობამ უმიწაწყლო გლეხების ერთხელ კიდევ უნდა სთქვას რა სჭირია რა სტკივა და რა არის მიზეზი რომ ჩვენ ყანებში მოდუღუნე მეთოხე ამხანაგები თოფებით ხელში რევოლუციას ეომებოდნენ. ჩვენ სოციალისტურ მთავრობას აქ მართებს სიფრთხილე. სოციალისტური მთავრობა თავდები უნდა იყოს რევოლუციის ყოველ ფრონტზე სრული გამარჯვების, რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნების, მან უნდა სთქვას და გაბედულადაც რომ რევოლუცია არ მომკვდარა რევოლუცია ცოცხალია! ჩვენი მთავრობა ჩვენ ხალხთან! ეს უნდა განვახორციელოთ, და მაშინ სოციალისტურ მთავრობის, მუშების და გლეხების ერთობას ვეღარ დაამსხვრევს ვერა ძალა. ჩვენი რევოლუცია მშიერთა რევოლუციაა. იგი გამოიწვია კუჭ დამწვარ მუშების ცოლშვილმა პეტროგრადში. პეტროგრადში მეფის სასახლეს პირველი ცეცხლი რევოლუციისა შიმშილმა მოუკიდა. სოციალისტურმა მთავრობამ „კუდების პოლიტიკა“ თავიდან უნდა აიცდინოს! დღეს მთავრობა მოვალეა სოციალისტურ ძალთა შეთანხმება მოახდინოს, ხალხი ელის ამ ბრწყინვალე მანიფესტს! ჩვენს ქვეყანას ირგვლივ ესევიან, ჩვენს დემოკრატიას და სამშობლოს სდევნიან, ამახსადავებენ ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ. ერის შინაგანი და გარეგანი მტერნი უნდა შეაჩერონ.., ჩვენს ხალხს ერთი ძალა ყავს—მშრომელი ხალხი და იგი თოფების ლოშეთ უნდა შემოერტყას სამხრეთის ბაღნარს, რევოლუციის ბუდეს, ჯერ არ მოსპობილ სოციალისტურ საქართველს.

ალ. იოხელიანი.

# თანამედროვე ხანა

ქართველი მშრომელი ხალხი ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა ერთი დემოკრატიული ხმით. და ვერ დადგა მტკიცე და სწორ გზას, რომლითაც ისინი ერთ სულოვნად შებრძოლებიდენ საქართველოს ნორჩ რესპუბლიკის მტრებს. ნაწილი ჩვენი მშრომელი ხალხისა არეულობის მეთავრი გარდა, ეს კი ჩვენ რევოლიციით მონაპოვარ თავისუფლებას საშინელ საფრთხეს უმზადებს. ეს არ ხდება ქალაქად რადგან ქალაქის მუშებს უმეტეს შეგნებული აქვთ, რევოლიციით მონაპოვარი თავისუფლება, რომელიც ასე აუცილებელია მშრომელი ხალხის ბედნიერებისთვის, ხოლო სოფელი კი გადაიქცა ხალხის მტრების სათამაშო მოედნად. ჩვენი გადაგვარებული, თვისი უარმყოფელი მოძმე კარის კაცები, ჯერ კიდევ ვერ არჩევენ ავს და კარგს, და უცხო თავზე ხელ-აღებულთა გავლენით, ამ საათშიაც ბრმად და ველურად მოქმედობენ ჩვენი სამშობლოს ზოგიერთ ადგილებში. დღეს აღდგენილი საქართველო აშენების მაგიერ დაღუპის გზისკენ მიჰყავთ ამ „ბოლშევიკურ“ მომქმედ ჯგუფს, რომელიც რუსეთიდგან დაგვიბრუნდა ავად ჩაგონებული, გათამამებული და ზრმა. მეამხოზეებმა ვერ იცვნეს თვისი სამშობლო მხარე, ვერ დაფარეს სათანადოთ მძიმე ასი წლის მონობის უღლის კისრიდგან გადაძრობა, და დღეს მათი არსებობა საქართველოს თვის სარგებლობის მაგიერ საფრთხეს წარმოადგენს „ბოლშევიკ“ გლეხებმა იარაღი ბოროტად მოიხმარეს; თვისი ძმების წინაღმდეგ მოიმარჯვეს, რითაც ასე მარჯვედ სარგებლობს ოსმალეთის გაუმაძღარი იმპერიალისტური მთავრობა რომელმაც ჩვენს ტურფა საქართველოს ჩამოაცალა მრავალი თვალსაჩინო კუთხეები. ამ ხალხის გულში აღარ არსებობს ერის და მამულის სიყვარული. ეს ვეღარ ერკვევა ერთხელ ნაჩვენები გზას იხმარს ბოროტად ამ გზას მისდევენ ბრმად. მათ სათანადო ხელმძღვანელობა ვერ გაუწია ჩვენმა ქვეყნის წინამძღოლმა ელემენტებმა. მათ ადრე ვერ შესცვალეს საქართველოსთვის უვარგისი პოლიტიკა, და ვერ ჩაუნერგეს მათ გულში ეროვნული გზის აუცილებლობა ღვთის ანაბარა მიტოვებულ სოფელში შეიჭრენ საქართველოს რესპუბლიკის და რევოლიციის მტრები და დაიწყეს მოქმედება ისე როგორც [illegible] ძირს რევოლიციით მოპოვებულ თავისუფლებას, [illegible] ერთსულოვნებას. აქ იოქმედობენ ოსმალების ჯაშუშები, რუსის შავ რაზმელები და სხვა... რომლებიც ჩვენ ძმებს რაზმავენ ჩვენვე ხალხის საწინააღმდეგოდ. შემდიარი ბრბო ხან ერთ ალაგს იფეთქებს შადრევანივით და ხან მეორეს. ჩვენ ძალა უნებურად. გვიხდება გამაშქრება და ძმათა სისხლის დაღვრა. აქ არის საჭირო ისეთი გზების გამონახვა, რომელიც შესძლებს, რომ ქართველი მშრომელი ხალხი, ერთი სულით და გულით შეკავშირებული იბრძოდეს საქართველოს ნორჩი რესპუბლიკის გამაგრებისთვის და აღორძინებისთვის. მხოლოდ მაშინ შეიძლება თავისუფლების შენარჩუნება. ციხე თუ შიგნიდან არ გატყდა, გარედამ იმდენად არ არის საშიში. მოუწოდებ ჩვენს ამხანაგებს, ხელი შეუწყონ ერთ სულოვნებას და ზიზღი მათ ვინც ბრათხედ იმოქმედებს და ამოქმედებს.

მუშა ევსევი ნავაძელი.

# შეკითხვების გამო

ამხანაგო მკითხველო, ზოგი გვეკითხება ხო არსებობს სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთი, რომელიც ყოველდღე იბეჭდება და ხელმძღვანელობენ პარტიისთვის თავ დადებული მოღვაწენი, უფროსი ამხანაგებიო და რაკი გაზეთი გაქვთ ყოველ-დღიური, მაშ რაღათ გინდათ ახალი ამ გაზეთის გამოცემაო, ასეთ დაინტერესებულ ამხანაგებს მოვახსენებ და ახსნით მიზანს ჩვენი გაზეთის გამოცემისას. გაზეთი, რომელიც გამოდის ყოველ-დღე ჩვენი პარტიის, მართალია ჩვენი სული და გულია, მან აღგვზარდა, მოგვამზადა. შეგვაგნებინა ჩვენი მშრომელი ხალხის სიყვარული და სამშობლოს მიწა წყლის შერჩენის თავგამოდებითი ბრძოლის წადილი. ესეთი შეგნება გაზეთმა ოცი წლის განმავლობაში შემოიტანა, გაზეთს ბევრი მტერი ჰყავნდა და ამიტომ ძნელდებოდა ჩვენამდი მოხწევა. ბევრი ვერად მიმხვდარა იმ ნამდვილ ხალხისთვის საჭირო არჩეულ გზას, რომელსაც ადგანან ჩვენი ამხანაგები და რომლისთვისაც იბრძვის მთელი ჩვენი პარტია, ჩვენი ბრძოლა მშრომელ ხალხის სრულ თავისუფლებისთვის არის. მაგრამ ხალხის შვილი ყველა ვერ მიხვდა ვერ გაიგო და ზოგი აღმაცრათ გვიყურებს, ჩვენი მიზანი არის ყველასთვის გასაგებათ და მისახვედრად ვწეროთ ამ გაზეთში, რომელსაც ხელმძღვანელობენ და სწერენ მშრომელი ხალხი. მუშები ქალაქებში მომუშავენი და სოფლებში მომუშავენი, გლეხები, გლეხის შვილები ყველა მშრომელი ხალხია და ასეთი მუშახალხის ნაწერი უფრო ადვილად გასაგები იქნება მთელი მშრომელი ხალხისთვის. არც ერთი მუშა ამხანაგის შეკითხვა არ იქნება უყურადღებოდ დატოვებული, რაც დღემდის ვერ გაიგო ჩვენმა ხალხმა ამდენ ხნის ლაპარაკის დროს, თუ რა უნდოდათ სოციალისტ-ფედერალისტებს ნამდვილად და რას ავრცელებდნენ ჩვენი პარტიის მტრები, როგორ მოხერხებულად გადიბირეს მშრომელი ხალხი, ხალხის მტრებმავე, როგორ შეგვიკრეს გზები, რომ არ მივკარებოდით სოფელს და არ გაგვეგებინებინა ჩვენი პარტიის აზრი: ყველას ესმოდა ჩვენი პარტიის სახელი, მაგრამ ნამდვილად სწორედ ვერ გაიგეს ყველამ. ჩვენი მიზანია ყველაფერი ვრქვათ ხალხის შესახებ, რაც გვინდა ჩვენ, და რა უნდა სხვა პარტიებს, რისთვის იბრძვიან ყველანი ხან ერთად, ხან ზოგ რამეში ცალკ-ცალკე, ვისმა აზრმა აჯობა, რომელი გზით გვერჩივნა ხალხის აზრი მოგვემზადებინა, რომ უფრო ადვილად მოგვეწყო თავისუფალი მშრომელი საქართველო და კავშირი გვქონოდა ჩვენთვის საძმო პირში და ლხინში გამოსადეგ ხალხებთან. ყველა ამაზე მუშებმა გასაგებ საუბრით შემდეგ მოვილაპარაკოთ.

ერთობის უწნელი მუშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხალხის მეგობრებო შეერთდით!

ბრძოლის ქარცეცხლში გამობრძმედილმა ქართველმა დემოკრატიამ სასტიკად დაამარცხა ჭეშმარიტ დემოკრატიზმის და სოციალიზმის მოწინააღმდეგენი და საქართველოს რესპუბლიკის, მართვა გამგეობა მშრომელი ხალხის ღირსეულ მეთაურებს, სოციალისტებს მიანდო: ეს პირველი მოვლენაა მთელს მსოფლიოში. ჯერ დედამიწის ზურგზე სოციალისტებს არსად არ უნახავთ ისეთი ძლიერი გამარჯვება, რომ მათ ჩაებარებინათ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა. თავისუფლების და თანასწორობის აზრი პირველად საქართველოში იმარჯვებს. რასაკვირველია ახლანდელი გამარჯვება არ არის გამარჯვება სოციალიზმის, მშრომელი ხალხის საბოლოო მიზნის მისახწევად. ჯერ კიდევ მრავალი დაბრკოლებაა დასაძლევი და ამ დაბრკოლებათა გადასალახად კი ხანგრძლივი დრო გაათკეცებული მუშაობა არის საჭირო. მაგრამ ჩვენ მაინც უნდა დავკმაყოფილდეთ იმ გარემოებით, რომ ჩვენი ცხოვრების მეთაურად გახდნენ ის ხალხი, რომელნიც გვიჩვენებდნენ სიმართლის და თანასწორობის გზას, და შემცირებულის მსხვერპლით წაგვიყვანენ აღთქმის ქვეყნისაკენ სოციალიზმისკენ. თუმც ჩვენში დემოკრატიზმის გამარჯვებას, ზოგი ერთი უიმედოთ უყურებს და ვით რუსეთში ბოლშევიკურ გამარჯვებას ისევე ქართველ დემოკრატიის გამარჯვებას დროებითი შემთხვევით მოვლენას აწერს, მაგრამ მათი შეხედულება შემცდარია და უიმედობაც სინამდვილის უკუღმა გაგებით არის გამოწვეული. ჩვენში ქართველმა დემოკრატიამ ჯერ კიდევ რუსეთის ძველი რეჟიმის დროს ამ რეჟიმთან ბრძოლაში მრავალჯერ გაარღვია თვითმპყრობელ ბიუროკრატიული ფრონტი და რუსეთის პარლამენტში ყოველთვის სოციალისტები გაგზავნა. მაშ თუ ძველი რეჟიმის დროს დემოკრატიას სასტიკათ სდევნიდნენ და უფრო განსაკუთრებით მეტად ავიწროებდნენ ქართველ დემოკრატიას მრავალი ხელოვნური პოლიციური დაბრკოლებით და იგი მაინც იმარჯვებდა. დღეს როდესაც ქართველმა ხალმა თავი გაინთავისუფლა რუსეთის თვითმპყრობელ ბიუროკრატიული ტლანქი ძალისაგან და საქართველომ ეროვნულ დემოკრატიული თავისუფლება მოიპოვა. დიახ, ამ თავისუფალ საქართველოში ხომ სრულიად ბუნებრივია გამარჯვება სოციალისტების, როგორც ჭეშმარიტი დემოკრატიული წყობილების დამცველების და მშრომელი ხალხის ინტერესების ქომაგისა. მე არ მინდა ჩემმა წერილმა ვისმე ისეთი აზრი დაუბადოს რომ მე, რადგან ქართველი დემოკრატიის სიძლიერე აღვნიშნე ვითომ მე ჩვენში თავისუფლება და სოციალისტობა უზრუნველყოფილად მიმაჩნდეს. პირიქით ჩვენ თავისუფლების მოპოებისთვის თფრო ნაკლები ბრძოლა გვჭირდებოდა ვიდრე ამის შემდეგ დაგვჭირდება. რადგან ჩვენ თავისუფლებას წინად არ უჩანდა იმდენი მტერი რამდენიც ეხლა გამოუჩნდა. საქართველოს თავისუფლება ეხლა განხორციელდა და ყველას შეეხო- ახლა უკვე გაიფანტა გაუგებრობის ბურუსი და ყველა ამჟღავნებს თვის საკუთარ სახეს, ყველა ირაზმება თავის საკუთარის ინტერესის დასაცველად. აუარებელი და გესლიანი ბრაზმორეული სიტყვები იხარჯება ჩვენი თავისუფლების წინააღმდეგ, აუარებელი უსინდისო ენა-ტანიები დაძრწიან რკინის გზის სადგურებზე და ჩვენი სოფლების ყველა ბნელ კუთხეებში და ოთხი წლის ომით გამოწვეულ დღევანდელ გართულებულ მდგომარეობის შიმშილ სილატაკეს, მექრთამეობას და ძარცვა გლეჯას, ყველას ძველი წყობილების დამგრევთ ახალი წყობილების მომხრეებს აბრალებენ. ამ ნაირად პრავაკატორები აძებნინებენ მონებს დანას რომლითაც სურთ ხალხს თავის ხელით მოაკვლევინონ საკუთარი თავი. ამ ჯაშუშებმა ბევრგან წამოაგეს ხალხი თავის ანკესზე და თავისუფლების წინააღმდეგ აამხედრეს. თუმც მათ ყველგან ვერ აიყოლიეს ხალხი, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს რომ ხალხი მათი შხამისგან თავისუფალია. დღეს ჩვენი ქვეყნის ყველა ჯურის მტერს ერთი მიზანი დაუსახავს: ყოველგვარი საშუალების ხმარება ხალხის თავისუფლების დასამხობათ. დღეს ყველა ხალხის მოკეთეც უნდა შეერთდეს და ყოველგვარი საშუალება იხმაროს ხალხის მტრებისაგან თავისუფლების დასაცველად. ამას თვით ხალხიც ჰგრძნობს. ამ ცოტახანში მრავალი შემთხვევა მქონდა როდესაც საუბრის დროს მითხრეს რო ჩვენთვის ბნელია პარტიების ავკარგობის გაგება. მხოლოთ ვიცით რო არის პარტიები რომელიც მტერია მშრომელი ხალხის თავისუფლების. ვიცით რომ არიან მისი მეგობრებიც და ეს უკანასკნელნი უნდა შეერთდეთ და თანხმობით მოხვიდეთ რომ ჩვენი უსწავლელობით და შეუგნებლობის გამო მტერმა არ ისარგებლოს და არ მოვსტყუვდეთო. დიახ ხალხის გულიდან ამონახეთქი შეთანხმების აზრი ხალხის კეთილდღეობის საჭიროებიდან წარმოიშვა და ვისაც ხალხის საქმე მიაჩნია ყველაზე მეტად, მან თვისი პირადი და პარტიული თამოყვარეობა უნდა მსხვერპლად მიიტანოს მის საკურთხეველზე. ვინც ამ შეთანხმების წინააღმდეგია, ჩვენი თავისუფლების მტერია და დუშმანი.

**მუშა ვანო ბალიაშვილი.**

## მთავრობაში

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ მთავრობაში შეიტანა პროექტი საქართველოს რესპუბლიკის საბჭოს დაწესებულებათა და მათი შტატების შესახებ.

მთავრობას განზრახვა აქვს საჩქაროდ შეიტანოს ეს პროექტი ეროვნ. საბჭოში.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსდება კომისია სახაზინო ქონების დასაცავად.

—

ფინანსთა, შინაგან საქმეთა და შრომის მინისტრებმა მოიწონეს პროექტი საბაჟო დაწესებულებათა შტატების შესახებ.

—

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიმართა სომეხთა ეროვნულ საბჭოს სომხის ჯარის ყველა ნაწილი გაიყვანოს საქართველოს რესპუბლი-

—

შრომის სამინისტრომ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა 17 ათასი მანეთი მიეცეს მას რუსეთში ჯარის დასაკმაყოფილებლად.

—

შრომის მინისტრმა მთავრობაში მოხსენება წაიკითხა რუს უმუშევართა და მათთვის კომიხიის დაარსების შესახებ. კომისია მოაწყობს უმუშევართა რუსეთში გაგზავნას.

—

გერმანიის სამხედრო საელჩომ მიმართა მთავრობას ნება დაგვრთეთ წითელ ჯვარის საწყობების დათვალიერებისაო.

—

მთავრობის თავმჯდომარეს გაგრიდან შემდეგი დეპეშები მოუვიდა:

ღრმად პატივცემულო ნოე! გაგრის ორგანიზაცია სოც. დემოკრატ. მუშათა პარტიისა მოგესალმებათ თქვენ და ენერგიულად მხარს დაუჭერს საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის მთავრობას.

საბჭოს თავმჯდომარე ნოდია.

—

საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარეს გაგრის ქალაქის საბჭომ ივნისის 28-ს სხდომაზე დაადგინა მხურვალედ მიესალმოს ნორჩ საქართველოს რესპუბლიკას და თქვენც როგორც მთავრობის თავმჯდომარეს.

ქალაქის თავი ბეზხონოვი.

## წითელი ხმლები!

ხმლებით დავფანტეთ, ჩრდილოეთის შავი ღრუბლები
მოგვაქვს დროშები წითელ დილით, წითელ ქუჩებზე.
შხამით დავათვრეთ სიყვარულით სავსე გულები
და წყევლა კავის ჩვენს გადამხმარ ყვითელ ტუჩებზე...

—

სასახლეებო გეშინოდეთ! ბედ-დამწვარ ხალხსა
მხოლოდ დამსხვრევა მაგ კედლების გულს მოუხებს
და ღელის რძესთან ჩანაძახებს რისხვიან ხმასა
დღესაც იგრგვინვენ: სალამი და დიდება ქოხებს“!..

—

ჩვენ შევაძრწუნებთ კორძიანი ჩვენი ხელებით
ბნელის ჯავშანით ნაჭედ ღამეს ძმათ საფლავებზე
სისხლით დავთვრებით... ვიამაყებთ ამ სახელებით
და გმირთა გვამებს დავასვენებთ ამ მხარ-მკლავებზე.

—

ნაწამებ მამულს მოვაგონებთ რაინდ მეომრებს
თვით მსოფლიოში რომ დაგვილპა მათი სახელი
და გადავ! ძახებთ თანამეხმლე ყველა მეგობრებს:
შეიარაღდით წითელ ხმლებით! აღმართეთ ხელი!..

**ხ. კოლხიდელი.**

## მოსკოვში მოჰკლეს გერმანიის ელჩი.

**ბერლინი.** ივლისის 6, დღეს, შუადღისას ორმა უცნობა აუდენციის დროს მოჰკლეს გერმანიის ელჩი მოსკოვში გრაფი მირბახი. მკვლელები ვერ შეიპყრეს. საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა ჩიჩერინმა მწუხარება „განუცხადა გერმანიის წარმომადგენელს მომხდარი ამბის გამო. გამოძიება სწარმოებს.

## ომის დეპეშები

**დასავლეთის ფრონტი.**

**ბერლინი** ივლისის 4 საომარი ცნობა.

**კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი**ც საღამოთი საომარი მოქმედება გაძლიერდა ფრონტის ზოგიერთ ადგილას. სომის ორსავე ნაპირას მტერმა დილიდანვე ცეცხლში გახვია ჩვენი ბანაკი. აქვე ქვეითა ჯარი იბრძოდა.

**გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი:** ენის ჩრდილოეთით ძლიერი იერიშებია. მულენ-სუ-ტუგანის აღმოსავლეთით ბრძოლა იყო ჩვენი თხრილების პირველ ხაზთან და აქ მტერი გავრეკეთ. დანარჩენს ადგილას მტრის ყველა აგრესიული ცდა უნაყოფოდ ჩატარდა ჩვენი მავთულიანი ხლართების წინ. არავითარი ნაყოფი არ მოუტანა მტერს იერიშებმა, შატო-ტიერის დასავლეთით რომ აწარმოებდა.

**პალგიცის და ჰერცოგ ალბრეხტის ლაშქარი:** მტრის იერიში მაასის აღმოსავლეთ სანაპიროთი მოვიგერიეთ. სამხრეთ აარგაუში ერთი ბრწყინვალე ბრძოლის დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ ტყვეები.

**ბერლინი,** ივლისის 4. ძლიერი საარტილერიო იერიშები სომის ორსავე ნაპირას ჩვენი ბრძოლის ველის რაიონში მოვიგერიეთ.

**იტალიის ფრონტი.**

**ვენა.** ივლისის 4. უღრესად გაძლიერდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე საარტილერიო ცეცხლი. აზრაგოსა და მონტე-სიზემოლესთან ინგლისელების იერიშები უნაყოფოდ ჩატარდა. პიავოს შესართავთან ბრძოლა გრძელდება.

**პალესტინის ფრონტი.**

**სტამბოლი.** ივლისის 4. ზღვის სანაპიროებით გაცხოველებული საარტილერიო მოქმედებაა ორივე მხრით. საარტილერიო მოქმედება გაძლიერდა იერუსალიმ-ნაბლუსის გზით, იორდანეს დასავლეთით ჩვენ სროლა აუტეხეთ მტრის ერთ ბატარეას. ბატარეის ახლო მყოფმა მტრის 3 ესკადრონმა სროლის გამო სამხრეთის მიმართულებით დაიხია. იორდანეს ორსავე სანაპიროთი მფრინავები მოქმედებენ. სხვა ფრონტიდან ცნობები არ მოსულა.

**ზღვაზე.**

**ლონდონი.** ივლისის 27. რეიტერის სააგენტოს ცნობა. ინგლისის ნადმიამმუსრავების პატრულებმა ივნისის 26-ს, საღამოს ბელგიის სანაპიროებზე მტრის 8 მმუსრავი შენიშნეს. ბრიტანიის მმუსრავები აღმოსავლეთით გაემართნენ სისწრაფე და დააბნიეს მტერი მოულოდნელი ცეცხლით. ოთხი საათის ბრძოლის შემდეგ მტრის ესკადრონს 3 მმუსრავი ნადმოსანი მიემატა, რის შემდეგაც ჩვენმა ესკადრამ მთავარი ხაზისაკენ დაიხია. მტერი არ დაგვედევნა და ბრძოლაც ამ შეტაკებით დამთავრდა. არც ერთი ჩვენი გემი არ დაზიანებულა.

**ბერლინი,** ივლისის 5. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. იპრის აღმოსავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ. გუშინ გათენებისას სომმას ორივე ნაპირზე არტილერიის სასტიკი სროლის შემდეგ ინგლისელებმა იერიშები მიიტანეს, მაგრამ უკუ ვაქციეთ და დიდი ზიანი მივაყენეთ. სომმას სამხრეთით შემოიჭრნენ ტყეში და სოფელ გამელში. მტრის იერიშები მოვიგერიეთ—ჩვენი კონტრიერიშებით. ვილიე ბრეტონეს აღმოსავლეთით ჩვენ მოწინააღმდეგენი დავხიეთ უკან. საღამოთი სამხედრო მოქმედებამ სასტიკი ხასიათი მიიღო თითქმის ყველა ფრონტებზე ღამე კი ცეცხლი უფრო გაძლიერდა.

**გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი** ავრის დასავლეთ ნაპირზე და მდინ. ენის ორივე ნაპირზე დიდი ბრძოლაა. ლეიტენანტმა მენკგოფმა საჰაერო ბრძოლაში მე-35 ჯერ გაიმარჯვა, ლეიტენანტმა ტუგმა მე 24-ჯერ.

**პარიზი.** ივლის 5, ორივე მხრით ზომიერი საარტილერიო მოქმედება იყო. ენის სამხრეთით კი, კუტრისა და მონტ-გუბერგის რაიონში, უფრო ძლიერი. შესიარის დასავლეთით ფრანგებმა ბრწყინვალეთ შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა და ტყვეებიც ჩაიგდეს ხელთ.

**ბერლინი.** ივლისის 5. საღამოს ცნობა. ბრძოლის ფრონტებზე ახალი არაფერია

**აღმოსავლეთის ლაშქარი.**

ივლისის 4. დოირონის ფრონტზე მონასტრის სექტორში ფრანგებმა საარტილერიო ცეცხლში გახვიეს ბულგარელთა ბატარეები, ფრანგების საჰაეროპლანო ბატარეებმა ბულგარელთა 2 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

**პალესტინის ფრონტი.**

**სტამბოლი.** ივლისის 5. ყველა ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

## საქართველოს [illegible]თა კავშირის გარშემო

კავშირის საბჭო აუწყებს კავშირის წევრთ და ყველას, ვისაც ეინტერესება მისი მოქმედება, რომ მისი სხდომები იმართება კვირაში ორჯელ: სამშაბათობით და პარასკეობით, საღამოს 7 საათიდან, ფრეილინის ქუჩაზე, № 11, სადაც წინად იმყოფებოდა ეროვნული საბჭო.

აქვე ყოველდღე, საღამოს 5 საათიდან 7-მდე, იქნება საბჭოს მორიგე წევრი, რომლისაგანაც მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყველა საჭირო ცნობები.

საბჭო მოუწოდებს ყველა ქართველ მოხელეთ, განურჩევლად პოლიტიკური მიმართულებისა, უმეველად ჩაეწერნენ კავშირის წევრად, ვინაიდან მხოლოდ შეერთებული ძალა შეგვაძლებინებს პირნათლად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა სამშობლოსა და ისტორიის წინაშე.

დროთა ვითარებას აღდო უნდა აუღოთ, ძმურად შევკავშირდეთ და ხელი-ხელ ჩაკიდებული შევუდგეთ ძნელს, მაგრამ პატივსაცემ მუშაობას. მაშ, ერთობა, ამხანაგებო,—დავივიწყოთ ჩვენი ქართველური დაუდევრობა. ამასთანავე საბჭო სთხოვს ყველა ქართველს, რომელიც სამსახურში არ არის და სურვილი კი აქვს იმსახუროს, მოაწოდოს საბჭოს ცნობა თავის ვინაობის შესახებ, აგრეთვე რა სწავლა აქვს მიღებული და სამსახურის რომელ დარგისათვის უფრო არის მომზადებული.

**კავშირის საბჭო.**

## სხვა და სხვა ამბები

✦ **ოსმალეთის სულთანის გარდაცვალება.** ბათუმში ესად-ფაშას ცნობა მოუვიდა კონსტანტინოპოლიდან, რომ გარდაიცვალა ოსმალეთის სულთანი მაგომეტ მეხუთე. ტახტზე ავიდა სულთანის ბიძაშვილი. ბათუმში ამ ამბის გამო ზარბაზნიდან ისროლეს სულთანის პატივსაცემლად 101 ჯერ.

✦ **ნაციონალიზაცია დაწესებულებებში,** თუ როგორ ახორციელებს ჩვენი მთავრობა ნაციონალიზაციას—გაეროვნებას ჩვენს დაწესებულებებში ქვემო მოყვანილი ცნობა გვიჩვენებს: „სია იმ ოფიცერთა და მოხელეთა, რომელთაც ადგილი უჭირავთ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ შტაბში და სხვა შტაბის ნაწილებში: პრაპორშჩიკი პანდოიანცი, მოხელე ტერ-გევონდიანცი, კაპიტანი ივანოვი, პოდპოლკოვნიკი გრუდზინცკი, გალიცინი“ და კიდევ ბევრი სხვა, რომელთაც ისეთი ადგილები უჭირავთ, რომ ყოვლად შეუწყნარებელია.

✦ ხუთშაბათს, საღამოს 5 საათზე დავკარგე პასპორტი და 18 მან. ფული. მპოვნელს ვთხოვ ფული თვით დაიტოვოს პასპორტი კი დამიბრუნოს შემდეგის მისამართით: სასახლის ქუჩა გაზეთ „სახალხო საქმის“ რედაქცია. მიხეილ ფარქოსაძეს.

✦ **საქართველოს რესპუბლიკის** მთავრობამ მიმართა სომეხთა ეროვნულ საბჭოს სომხის ჯარის ყველა ნაწილი გაიყვანოს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან სამ დღის განმავლობაში ვადაში ამასთანავე სურსათის მიმწოდებელ კომიტეტის უფროსს წინადადება მიეცა რომ სამი დღის შემდეგ სურსათი აღარ მისცეს სომეხთა ჯარებს, ამის გამო შემოვიდა პროტესტი, რომელშიაც მოხსენებულია, საინტენდანტო საწყობების საქონელი საქართველოში მცხოვრებ ერების საკუთრებას შეადგენსო.

✦ **მობილიზაცია.** სოფლებიდან ჩამოსულები სრულ იმედს იძლევიან, რომ თუ ვეცდებით ჯარის შეკრების

საქმე სულ ადვილად და სასურველად ჩაივლის.

◆ **მოსავალი.** როგორც რაჭიდან, კახეთიდან, ბორჩალოდან და სხვა კუთხეებიდან იუწყებიან წელს მოსავალს კაი პირი აქვს და გაცილებით სხვა წლებზე მეტი ნამუშევარია,

◆ **მტრების ქსელი.** ჩვენი ბოლშევიკების ქურქში გახვეულ მტრების ქსელს მთავრობამ სათავე გამოუნახა და საჭირო ზომებიც მიიღო.

◆ **მთავრობის ჯარი** ამ ბოლო დროს ყველა ფრონტებზე იმარჯვებს.

◆ **სიკვდილით დაისჯებიან** ვინც ჩვენი საწყობების გადაწვა მოაწყვეს.

◆ **ბაქოში** შემდგარა ქართველ ახალგაზდათა კარგი მოზრდილი ჯგუფი, რომელიც ესწრაფვის ტფილისში ჩამოსვლას, რათა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოს საქართველოს ბედნიერებისთვის.

◆ **ბათომში.** ამ ჟამად ბათომში ორი კომენდანტია. ოსმალოების შემდეგ გერმანელებმაც დანიშნეს, ორივე ერთსა და იმავე მოვალეობას ასრულებენ. რომელი დარჩება — ვინ იცის!

## იმერული სცენა

იცოცხლე კაი ხუნშევიკი მე ვიყავი ერთ დროს! ქალაქის არჩევნებში პირველი ნუმრის კაი სამი კენჭი მე ვდეზე „დახლში!" ორი პეტრიამ მომცა და ერთი „ნიკოიამ. ეხლა რაფერ მოვიქცე არ ვიცი: ერთი ვიდაცა ყაზახი ჩამცივებია „ერთობა" ხუშევის გაზეთი ადგრაა — ეხლა „პირველი ნაბდუჯია", თუ რაცხა ჯანდაბა, ის წეიკითხეო! კი, მოგეცა სიცოცხლე მე ი ჟურნალი წეეიკითხო, მარა „ერთობა" რო ამ წლის დამლევამდე გაათამაწერიეს რაფერ ვქნა ამისი? ბაფერიიამ გოუძლეფ ამ ხარჯს, — ამასაც წევიკითხავ და იმასაც! აიას წინა, იცოცხლე, „ერთოაბზე" კაი ხუნდუბლეის მე ვიყავი, მარა კიდამ „გამობალშევიკეს". (ერთი მხრით იცოცხლე ეს კაი იქნებოდა: არც ერთ გაზეთს აღარ წევიკითხავდი და მე ვიქნებოდი ჩემთვის ამხეინათ?!)

იმე! ამფერი გაგონილა?! ვთქვი რამე ქართულ ჯარზე, ბატონო, და — კიდამ ცხვირი ამომაწყვრიეს! ეროვნულ ყრილობაზე ვთქვი და — იმე, რას ჩამაცვივდა ამ ეროვნულ[illegible]! ჩვენ მაგი არ ვიცით, არ ვიცნობთ მაგას, ჩვენ ობლასტნოი კომიტეტი გვყავს უმფოსი და აგია და აგიო!.

გავტრუნე სული. რას იზამ აპა მეტს! ეგ თხულ ამიზა ვიდაცა ელბაქიძემ რომ გამომიწოდა კოხრიანი ქუდი, თქვენ სუ მომიკვდებით, კიდამ მომატყვრია ცხვირი... ერთი ორ-ხელ მე ვთქვი: ეს ეროვნული ყრილობაა თუ რაღაც საბჭო, არ უნდა იზრუნოს ქართულ თავრობაზე თქვა? აბა, ვის დაგიჯერა, ვინ გაგცა ხმა?! იმე, რო მივალ რუსის თავრობასთან, რაფერ მივიყვანო ყოველთვის ჩემი ხაზეინის შვილი?! რა უთხრა? „დრასტი"-თქვა? მერე? „შტო ხოჩიტო", რო მეტყვის, რაღა უთხრა? „ერთობის" მწერლები პრიდოტ და მე გეჭყვის რაცხა ხოჩიტ-თქვა, უთხრა?

ეს კიდევ არაფერი! იმე, მომდგომია ვიცხა ყაძახი — სოციალდემოკრატი და მიქადაგებს: „სოფლის მუშა მტერია ქალაქის მუშისო და ქალაქის მუშა ამფერ — მტერია სოფლელისო!" აი, ისე მაგის კენკრეხოს გოუძლია, რავარც ეს იყოს მართალი!

აპა, რა გვაქ ახლა მე და ნაკოიას საშტრო?! ის ქალაქის მუშაა, მე — სოფლის, მარა მე ვცხოვრობთ კაი ლამაზათ ეგერ — შუა ბაზარში!..

ხუხიკა თოხნაძე

## საქართველოს პარლამენტის გარშემო

გარეშე საქმეთა კომისიაში, პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, აღიძრა საკითხი ცარიცინში დარჩენილ ქართველთა ინტერესების დაცვისა. ცარიცინში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქართველების მდგომარეობა აუტანელი შეიქმნა, რადგანაც ბოლშევიკებმა დევნა დაუწყეს. კომისიამ დაავალა თავის თავმჯდომარეს სამინისტროში გაიგოს, რანაირ ზომების მიღებას აპირობს იგი ცარიცინში დარჩენილ ქართველთა უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა აღიძრა პრინციპიალური საკითხი საზოგადოდ საქართველოს გარეშე დარჩენილ ქართველთა ინტერესების დაცვისა. მიღებულ იქმნა არ. ჯაჯანაშვილის წინადადება — გადადგმულ იქმნას შესაფერისი ნაბიჯები, რათა რუსეთში დარჩენილ ქართველთა ინტერესების დაცვა იკისროს გერმანიამ. ამ პრინციპიალური საკითხის გამოსარკვევად კომისიამ გადასწყვიტა შემდეგი მორიგი სხდომისთვის დაიბაროს გარეშე საქმეთა მინისტრის წარმომადგენელი.

## კანონი

### სიკვდილით დასჯისა ზოგიერთ უმძიმეს ბოროტმოქმედებისათვის

I. დროებით მიღებული იქნეს სიკვდილით დასჯა დახვრეტით, როგორც უმაღლესი სადამსჯელო სასჯელისა, იმ პირთათვის, ვინც ჩაიდენს რომელსამე, ქვემორე აღნიშნულ, უმძიმეს ბოროტმოქმედებას.

1. ვინც სახელმწიფო მოღალატეობას ჩაიდენს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წინააღმდეგ (მუხ. 108, 109, 110 და 119 სისხლის სამართლის დებულების, ტომი 15 კან. კრებ., გამოცემა მე-4).

2. ვინც შეეცდება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წესწყობილების შეცვლას შეიარაღებულის ძალით (მუხ. 100 სისხლის სამართ. დებულ., რუსეთის დროებით მთავრობის 1917 წლის 4 აგვისტოს დადგენილების რედაქციით. „დროებითი მთავრობის უწყება" 1917 წ. № 127.

3. ვინც მონაწილეობას მიიღებს აშკარა აჯანყებაში დაწესებულ მართველობის წინააღმდეგ (მუხ. 263 სასჯელთა დებულებისა ტომი 15 კან. კრებულ.).

4. ვინც ჩაიდენს წინასწარ ან უცბად მოფიქრებულ მკვლელობას (მუხ. 1454 და პირველი ნაწ. 1455 სასჯელთა დებულებისა, ტომი 15).

5. ვინც განზრახ, ცეცხლის წაკიდებით ან რაიმე სხვა გზით, გაანადგურებს ან გააფუჭებს სამხედრო მასალას ან საზოგადოთ იმას, რაც წარმოადგენს თავდასხმის თუ თავდაცვის საშუალებას ან სათადარიგოთ დამზადებულ სურსათს გინდ ფურაჟს, ან ვინც განზრახ ცეცხლს წაუკიდებს სახელმწიფო გინდ საზოგადო შენობას.

6. ვინც განზრახ გაანადგურებს ან დიდ ზიანს მიაყენებს ტელეგრაფს, ტელეფონს, რკინის გზის ლიანდაგს, ვაგონებს, რკინის გზის ან ნავთსადგურის შენობას ან რაიმე მათ მოწყობილობას, ან გასაფრთხილებელ ნიშნებს რომელიც დაწესებულია რკინის გზით ან გემით უხიფათო მიმოსვლისთვის, თუნდაც ბოროტმოქმედს განზრახვა არ ქონდეს საფრთხეში ჩაეგდო რკინის გზით თუ გემით მიმავალი ხალხი ან გადასაზიდი საქონელი, ან ვინც განზრახ მოსპობს ან გააფუჭებს სამრეწველო თუ სამთამადნო დარგის ისეთ მოწყობილობას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკისათვის.

7. ვინც გაძარცვას ან იარაღით თავს დაესხმის ვინმე და წაართმევს ქონებას (Грабежъ и разбой).

8. ვინც იმ დროს, როდესაც საქართველოს ომი ექნება სხვა სახელმწიფოსთან, ჩაიდენს სამხედრო მოქმედების ასპარეზზე რომელსამე იმ ბოროტმოქმედებათაგანს, რომელიც აღნიშნულია რუსეთის დროებით მთავრობის 1918 წ. 18 ივლისის დადგენილებაში („დროებითი მთავრობის უწყება" 1917 წ. 2,103).

II. ამ კანონით დაისჯება ყველა, ვინც რომელსამე ზემოთ ჩამოთვლილ ბოროტმოქმედებას ჩაიდენს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

III. ეს კანონი შედის ძალაში 1918 წლის — 26-ს მაისიდან.

## აჯანყებულთა გარშემო

### დუშეთის მაზრაში.

სახალხო გვარდია დუშეთისა და წილკნის შორის მოქმედობს. აჯანყებულნი ორი მხრით არიან მოვლილები. დუშეთი სახალხო გვარდიამ აჯანყებულებისაგან გასწმინდა, დილით აჯანყებულებს აღმოაჩნდათ ორი ზარბაზანი. ერთი ზარბაზანი ჩვენმა სახალხო გვარდიამ უკვე წაართვა. სახალხო გვარდიელების მხრივ მსხვერპლი მცირეა.

**ვინ მეთაურობენ აჯანყებულებს?**

დუშეთის მაზრაში მომხდარ აჯანყების მეთაურთა ნაწილი [illegible] დაჭერილია. ეს მეთაურები არიან: სომეხი აფიცერი ხაჩატუროვი, ერთი სომეხი სტუდენტი. თუმანიანცი ტერტერა გულინიანცი, და სამი რუსის ოფიცერი.

**საჩხერიდან.**

საჩხერიდან ჩამოსულის სიტყვით იქ გამოსულას მეთაურობდა ოსი. რომელიც ხალხს ეუბნებოდა. რომ მოდის მღიდრების რაზმი, რათა იარაღი აყაროს გლეხებს; მოუწოდებდა მათ წინააღმდეგობისთვის და დაეცვათ რევოლიუციის მონაპოვარნი. აჯანყებულნი დაამშვიდეს, მათ შორის რამოდენიმე მოკლულია და რამოდენიმე დაჭრილი.

**გ ო რ ი.**

როგორც ვიცით, დუშეთის მაზრაში „ბოლშევიკების" წყალობით ამბოხებაა ამ ჟამად, მაგრამ თავიანთ საქმიროსაქმეს იქ, მარტო დუშეთის მაზრაში არა კმაყოფილდებიან და სცდილობენ ამბოხების ცეცხლი სხვაგანაც მოსდონ დახამდვილებით გავიგეთ, რომ დუშეთის მაზრის ერთ ერთ სოფლის კომისარს, ვინმე ც. ხარებაშვილს (ოსია) ალბად „ბოლშევიკური" შავი ზრახვით ამოძრავებულს წერილობით მიუმართავს მეჯვრისხევის, ცხინვალის და სხვ. კომისარებისთვის — კონტრრევოლიუციონერებს (წითელ გვარდიას) ვებრძვით და მოგვეშველეთო. საჭიროა მთავრობამ ასეთ პროვოკატორების წინააღმდეგ უსასტიკესი ზომები მიიღოს და სისხლში ჩაახრჩოს ყოველნაირი ამბოხება, მთავრობის წინააღმდეგ მიმართული.

**ბოლშევიკები ს. კურსებში.**

ორშაბათს, სადამოს 5 საათზე სოფ. კურსებში მოვიდა ტყიბულიდან მომავალი მუშა მატარებელი. რომელშიაც ისხდნენ 40-დე ზოგი შეიარაღებული და ზოგიც უიარაღო ახალგაზდა ბოლშევიკი. მატარებელი გააჩერეს კურსების საზოგადო დაწესებულებებთან, სახელდობრ ბანკ-კოოპერატივ-სასამართლოსთან და მოითხოვეს იარაღი. აღმოჩნდა, რომ იარაღი სრულებით არ მოიძებნებოდა. შემდეგ მიიფანტ-მოიფანტნენ სოფლად, დაუწყეს კომისარს ძებნა. ერთმა ნაწილმა კი აყარა ლიანდაგი და დასწყვიტა ტელეფონის მავთულები. კომისარი კი მონახეს ყანაში, ჩაიყვანეს აყრილ ლიანდაგთან და უბრძანეს იმ სადამოსვე შეეყარა ხალხი, აეხსნა მათთვის, რომ ეხლანდელი მთავრობა არ ვარგა, ის ჩამოსაგდებია. სოფელში ამ გარემოებამ დიდი შიში დაბადა. ამის შემდეგ მატარებელი ქუთაისში გაისტუმრეს და თვითონ კი უკან დაბრუნდენ.

აღსანიშნავია, რომ არაფერს ცუდს ამისგარდა ისინი არ სჩადიოდენ. ბრბო მათი შესდგებოდა სულ ბატარ-პატარა ბიჭბუჭებისაგან. თითქმის მეთაურებიც არსად სჩანდა.

ზოგიერთი აცხადებდა, რომ ისინი ძალდატანებით იყვნენ წამოყვანილი.

კურსელებიდან კი მოითხოვეს მხარის დაჭერა და რკინის გზის ლიანდაგის აყრა, მაგრამ კურსებში არ აღმოჩნდა ერთიც მათი თანამგრძნობი და ერთი კაციც არ მიკარებია.

## საჩხერის ამბები.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ივლისის ოთხამდე ჩვენმა ჯარმა შესძლო წესრიგების აღდგენა. თითქმის ყველა სოფელი მორჩილებას აცხადებდა; იარაღიც ჩააბარეს. ჯირხანად სულ 600 თოფი ჩააბარეს. აგრეთვე გასცეს აჯანყებულთა მეთაურები.

ივლისის 5-ს რაზმის უფროსმა მზვერავები გაგზავნა, რადგან ისმოდა, რომ ოსები სოფ. ლინასა და ოღულში იყვნენ ჩასაფრებულნი და მიმალულნი და მათთან [illegible] გაქცეული ადგილობრივი მცხოვრებლები; მზვერავებმა გამოარკვიეს, რომ აღნიშნულ სოფლებში 600-ზე მეტი კაცი იყო თავმოყრილი, სათავეში მათ 10 გამოცდილი ოსი-ოფიცერი ედგა. მთელი დღის განმავლობაში საარტილერიო და სატყვიამფრქვევო ბრძოლა სწარმოებდა. რადგან მტრის ძალა სჭარბობდა, ჩვენმა რაზმმა ძველ პოზიციებისაკენ დაიხია, საჩხერის სადგურთან ჩვენ რაზმში ერთი ჯარისკაცი დასჭრეს; უკვალოდ დაიკარგა პორუჩიკი ბრეგვაძე.

ასეთმა მდგომარეობამ შიშის ზარი დასცა მცხოვრებლებს.

მცხოვრებლები გაიხიზნენ. საჩხერის ადგილობრივი მცხოვრებლები საჩხერედან გავიდნენ. უმეტესობა ქუთაისისაკენ წავიდა. ზოგი კი სოფლებში გაიხიზნა. ჭიათურიდანაც მცხოვრებლები სოფლებში გაიქცნენ.

## ახალი გაზეთი.

ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტ მუშებს დროებით არა გქონდა საკუთარი მუშური გაზეთი; გამოდიოდა ჩვენი მუშათა გაზეთი „ზვერთა" ძველი რეჟიმის დროს, ჩვენ ვაკავშირებდით ამ გაზეთის გარშემო პარტიულ მუშაკებს და ვრაზმავდით მუშებს დესპოტიურ მთავრობის დასამხობათ.

რევოლიუციის პირველ დღეებში ქაღალდის სიძვირის და ტეხნიკური მიზეზების გამო ჩვენ იძულებული ვიყავით დროებით დაგვეკეტა გაზეთი. სოციალისტ-ფედ. მეორე თავისუფალ კონფერენციაზე დადგენილ იქმნა ახლო მომავალში გამოეცა მუშათა გაზეთი და დღეს 8 ივნისს გამოვიდა პირველი ნომერი მუშების გაზეთისა „სოციალისტ ფედერალისტი" ეს იმას არ ნიშნავს რომ ჩვენ არა გვქონდა აქამდე პარტიული ორგანო, სრულებითაც არა, ჩვენ პარტიული ორგანო კი გვქონდა მაგრამ არა გვქონდა წმინდა მუშური გაზეთი ხალხური მდაბიო ენით დაწერილი, ყველასთვის ხელმისაწვდომი. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვეცა გლეხობისთვის და მუშებისთვის გასაგებ ენაზე დაწერილი გაზეთი და გაგვეცნო მათთვის თუ რა გვწამს ჩვენ, აგვეხსნა მათთვის რა არის მიწის საკითხი, შრომის საკითხი და სხვა და სხვა. დღეიდან ჩვენ გვაქვს საკუთარი გაზეთი, საჭიროა მხოლოდ ნივთიერი დახმარება და მის გავრცელება. მოვუწოდებ ამხანაგ მუშებს დაეხმარონ შეძლებისდაგვარად და გაავრცელონ თავიანთ ნაცნობებში და მეგობრებში. ყველა ჩვენ პარტიულ წევრი ვალდებული არის შემოწირულობით ჩვენი პარტიული ორგანო რითაც ჩვენ უზრუნველვყოფთ გაზეთის გამოცემას.

ნიკო მაისურაძე.

## შემოწირულება

ჩვენს მოწოდებას ბევრი ამხანაგი გამოეხმაურა, და ბევრმა შემოიტანა თავის წვლილი, მუშათა გაზეთის „სოციალისტ-ფედერალისტის" მოსადონიერებლად.

შემომწირველთა სია: ტრამვაის მუშები: თხილავა სამს. 30 მ. კაკიაშვილი გრ. 20 მ., ქავთარაძე გრ. 20 მ., ელიავა მიხ. 20 მ., იოსელიანი ალ. 20 მ., კველიშვილი ეგს. 20 მ., კვერხაძე ერმილე 20 მ., ზაქარაძე დავ. 20 მ., ტუ ძილაძე ნესტ. 15 მ., კირკელია ბიჭიკო 10 მ., შუბლაძე ვას. 18 მ., კიკნაძე პავლე 15 მ. ბროლაშვილი გიორ. 10 მ., ძიძიგური ალექს. 10 მ., მამურაშვილი ვანო 15 მ., კაკურია შაქრო 15 მ., ნადირეიშვილი ანჯ. 10 მ., ბედოშვილი ვ. 10 მ., სვანიძე სილ. 10 მ., ლომთაძე ეფრემ 5 მ., მიხ. წერიძე 5 მ., მიქავრაძე მიშა 15 მ., ყიფიანი ბიქტორ 15 მ., თხილავა ნ. 3 მ., 50 კ., კუცია სერ. 2 მ., ვანო ზაქრაძე 1 მ., დავით სოხიაშვილი 10 მ., შალვა ბილბაძე 5 მ., ფალავა სარდ. 10 მ.

—

ამავ გაზეთისათვის შემოსწირეს: ვ. ავალიანმა 10 მ., ს. ფარახაშვილმა 6 მ., ვ. ხუბულავა 10 მ., ვ. ტურბელაძე 10 მ., ილ. ინჯგის 5 მ., ნინო ლორიზე 5 მ., ალ. ძოწენიძე 10 მ., გალ. ხუციძე 5 მ., სევ. ყაველაშვილი 10 მ., მატარაძე 10 მ., ლაბაძე ფილარ. 5 მ., სინაური 5 მ., ინწკირველი ვასო 150 მ., ვერმიშენკო 5 მ., ავილოვი 2 მ. ჯავახიშვილი 2 მ., პეშტმალჯიანც 15 მ., (გვარი ვერ გავიგეთ) 3 მ., დიმიტრაშვილი 2 მ., გოგაძე 5 მ., ციციშვილი 10 მ., ჯავახიშვილი 3 მ., ციციშვილი 5 მ, სუხიშვილი 5 მ., ვანცაძე 10 მ., წულუკიძე 5 მ., სუპატაშვილი 2 მ., ე. გაგუშვილი 10 მ., დათ. მესხი 5 მ., ნინო გოჯებიანი 5 მ., ცუცქირიძე 5 მ., კ. წერეთელი 5 მ., შ. გორგაძე 5 მ., პ. ცინცაძე 5 მ., ბარბაქაძე 5 მ.

—

ამავე გაზეთისათვის შემოსწირეს მიხ., გამალიშვილი 5 მ, სილამონიძე 5 მ., იოსებ კალანდაძე 3 მ., ილ. ხვადაგიანი 5 მ., ი. ფალავა 5 მ., დიმ. ჯანიშვილი 1 მ, ივ. სიგუა 1 მ., ვანო ხნანოვი 1 მ., მიტრ. ცაგურია 1 მ., № 5 მ., ფილ. კიკნაძე 10 მ., იაკინთე კიკნაძე 3 მ.

რედაქცია დიდ მადლობას უძღვნის შემომწირველ ამხანაგებს.

## ღია ბარათი

ამხ. რედაქტორო!

საქ. სოც.-ფედ. ს. პ. პეტროგრადის კომიტეტის სახელით გაახლებთ მუშათა ორგანოს გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი"-ს ფონდის გასაძლიერებლად 300 მანეთს.

პეტროგრადის კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი მღ. ლეჟავა.

მდივანი ვ. ხუნდაძე.

რედაქტორი: სარედაქციო კოლლეგია.
გამომც.: მუშათა კავშირის გამგეობა.

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით აძე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

სტამბა „სახალხო საქმე". ტფილისი, ბარონის ქ.